№ 162
1877
ივლისის 31, ხუთშაბათი 1903 წ.

# ივერია

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 162
1903
ივლისის 31, ხუთშაბათი 1903

ვისაც ხვედრი ფული არ შემოუტანია, პირველ აგვისტოდგან «ივერია» აღარ გაეგზავნება.

პირველ აგვისტოდგან წლის დამლევამდე
გაზ. „ივერია"
ჰღირს 5 მან. 50 კაპ.

გაზეთის „ივერიის" ფასი თვეობით 12 თვით—10 მან., 11 თვით—9 მ. 50 კ., 10 თვით—8 მ. 75 კ., 9 თვით—8 მ., 8 თვით—7 მ. 25 კ., 7 თვით—6 მ. 75 კ., 6 თვით—6 მ., 5 თვით—5 მ. 50 კ. 4 თვით—4 მ. 75 კ., 3 თვით—3 მან. 50 კ., 2 თვით—2 მ. 75 კაპ., 1 თვით—1 მან. 50 კაპ.

## ისყიდება სურამში

იუნკერთა სასწავლებლის პირდაპირ მშვენიერი საგარაკო ადგილები

## „სანზეიმო"

თავისის მდებარეობით და ჰავით ჰსჯობია ყველა საგარაკო ადგილებს. დასარწმუნებლად მსურველებმა ინახულონ ადგილობრივ.
მამული მდებარეობს შოსის გზის პირად, შიგ მამულში გაყვანილია ფართო გზები, მოაგარაკეთა სასიამოვნოდ დატოვებულია ორი მოზდილი „პარკი" ფიჭვისა მუხისა, დაპირობების გასაგებათ შეიძლება მიჰმართოთ:
**სურამში:** კნეინა ევა გიორგის ასულს ჩხეიძისას,
**ტფილისში:** „ივერიის" რედაქციის კანტორას და ნოტარიუსს მღებროვის კანტორაში ერევნის მოედანი, სახლი № 2). (30—23).

გამოვიდა და იყიდება ყველგან „წერა-კ. გამავრცელებელ საზოგადოების" მიერ ახლად გამოცემული წიგნები:

1.

## წიგნის ისტორია

შედგენილი დ. კარიჭაშვილისა.
14 სურათით. 64 გვ. ფასი 20 კაპ.

2.

დანიელ დეფოს

## რობინზონ კრუზე

მეორე გამოცემა მრავალის სურათით.
162 გვ. ფასი 30 კ.

წიგნების გამოწერა შეიძლება ფას-დადებითაც: Тифлисъ, Общество грамотности.

ზემო ავჭალაში, ბაქანს ახლო, იყიდება

## სააგარაკო ადგილი,

რომელზედაც ვენახია გაშენებული, 1.000 ჩორსო საჟენი. ფასი 2.500 მან. შეიძლება გაიყიდოს პატარა ნაჭრებადაც, 100—200 ჩორსო საჟენი. ფასი საჟენისა 2—3 მანათი. მსურველთ მიჰმართონ შ. დ—ს „ივერიის" რედაქციაში. (10—9)

ტფილისში, ავჭალის ქუჩაზედ,

## იჯარით იძლევა

დიდი სახლი, რომელიც სასტუმროდ შეიძლება გადაკეთდეს. ქვემო სართულში სავაჭრო დუქნებია. შემოსავალი 10.000 მანეთს აღემატება. მსურველთ მიჰმართონ შ. დ—ს „ივერიის" რედაქციაში. (10—9)

**ქართული წიგნის მაღაზია**

გაიხსნა ავჭალის ქუჩაზედ, რეუტოვის ქუჩის კუთხეში, პაპოვის სახლში, სადაც ისყიდება ყოველნაირი ძველი და ახალი ქართული წიგნები. აქვე ყიდულობენ ძველს წიგნებს, სხვა ენებზე დაბეჭდილსაც. (10—10)

## ქართული დრამატიული საზოგადოების გამგეობა

ამით აცხადებს, რომ მსურველთათვის დანიშნულია 19 აგვისტოს

## გამოსაცდელი წარმოდგენა

ამ წარმოდგენაში მონაწილეობის მსურველთ შეუძლიანთ ჩაეწერნენ თეატრის კანტორაში დღეიდან 5 აგვისტომდე, ყოველ დღე დილის 12 საათიდგან ნაშუადღევის პირველ საათამდე. (7—7)

## ახალშენიშვილი

ელისაბედის ქუჩა, 38.

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 ს. და 11—2-დის, ხოლო საღამ. 5—7-დის კვირა-უქმე დღეებში 9—2-მდის და საღამ. 5—7-მდის (წლ.)

## კერძო სამკურნალო

**ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა**

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (Набережная) სახლი აბრამოვისა № 9 მიხეილისქუჩიდან-კი № 34.
**ტელეფონი № 274.**

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

**დ ი ლ ი თ:**

**ნ. ტ. მულინი**—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულ. 9—10 ს.

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია 11—1 ს.

**ზრ. მ. სოზოლევსკი**—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით.

(წ.)

46—8 ტელეფონი № 274

## პირველი კერძო სამკურნალო

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დ ი ლ ა ო ბ ი თ:**

**ზ. ა. ნავასარდიანი.** 11—12 ს. სადოსტაქროვენერიული (სიფილისი) და საზარდევ-ავადმყოფობანი.

**ჟ. მ. ჩიქოვანი.** 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფისა.

**ვ. ზ. აზეტისიანცი.** 10—11 საათამდე კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

**ი. ბაზანახოვი.** დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

**ქ. ი. ზქელიშვილი.** 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

**ზ. ა. თარხანოვი.** 1—1½ საათ. შინაგანის და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბთაობით და შაბათობით.

**ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:**

**ნ. ნ. როსტომბეგოვი.** 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტროტერაპია)

**ლ. ვ. ბარტოლდი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპია), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

**გ. ხ. ლევი** 6—7 საათამდე, ნერვებისა (ელექტროთერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბანინა** 7—7—საათამდის. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა,

**ვ. ა. თარხანოვი.** 7½ 8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

**ზ. ა. ნავასარდიანი.** 8½—8 ს.

**ს. ტ. არვანიტაკი.** 11—1 ს. გათებსსაუკეხლში მსურველთ „მასსაჟს", აუცრის ყვავილს და გიმართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნ ა ვ ა ს ა რ დ ი ა ნ ი.

**Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памят. Воронцова**

(წლ.

## ტ ფ ი ლ ი ს ი

✦ ტფილისის მაზრის უფროსი თ-დი ლ. ჯანდიერი შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგს გაჰყვა დუშეთამდე, სადაც სამიოდე დღეს დარჩება, რადგანაც ტფილისის გუბერნატორს რავდენისამე საქმის აღსრულება დაუვალებია.

✦ აგარაკად წასული ჯარები ამ დღეებში თავ-თავის ბინას დაბრუნდება, ხოლო ჯერ ქალაქ გარედ დადგება. გუშინწინ პოდპოლკოვნიკი თ-დი მაყაშვილი და ტფილისის მაზრის უმცროსი თანაშემწე ე. გუგუშვალი დიდუბეს იქით მინდვრებს ათვალიერებდნენ, ღრმა-ღელემდე, სადაც ჯარი დროებით უნდა დაბანაკდეს.

✦ ტფილისის ოლქის სასამართლოს გადასცა პროკურორმა გამამტყუნებელი ოქმი, რომელშიაც აღნიშნულია, რომ 16 ივლისს, ქ. ტფილისში, ბათუმის ქუჩაზე, როდესაც ყაზახების რაზმი თავის მოვალეობას ასრულებდა, წინააღმდეგობა გაუწევია რავდენსამე კაცსა. ოქმით მოწინააღმდეგობა ჰბრალდებათ: ივანმანდღულაძეს, სელივან სტურუას, პავლე სტურუას, მიხეილ ბოტკოველს, სტეფანე ბონდარენკოს, ალექსანდრე კახაძეს, ფიდო ნოროკს, ვასილ სალაკაევს და ივანე ევგენიევს. ამ საქმეს სასამართლო მალე გაარჩევს.

✦ მთავარმართებელმა დაამტკიცა ახალი დირექცია ტფილისის სახაზინო თეატრისა. როგორც მოხსენებული გვქონდა, დირექციის თავმჯდომარედ გენერალი დოროფიევია დანიშნული, დირექტორად პოდპოლკოვნიკი აკიმოვი. მეორე დირექტორად მთავარ-მართებლს მისი უგანათლებულესობა თ-დი პეტრე ალექსანდრეს ძე გრუზინსკი დაუნიშნავს.

✦ სახალხო განათლების მინისტრმა თავისი აზრი შეატყობინა სასწავლებელთა უფროსებს, რომ სასურველია ყოველ სასწავლებელს თავისი საგარაკო ადგილი ჰქონდეს საზაფხულო კოლონიებისათვისაო.

✦ ქალაქის საყასბოების გამგე კომისიამ საჭიროდ დაინახა ინსტრუქცია შეადგინოს საყასბოების გამგეთა სახელმძღვანელოდ. კომისიას შეუტყვია, რომ ქალაქის დუქნები უვარგის ხორცსაცა ჰყიდის; ამის გამო კომისიამ დაავალა დუქნების ზედამხედველთ, რომ უვარგისი ხორცი ცალკე ჰგროვდებოდეს გადასაყრელად და გაყიდვა აღარ გაჰბედონ; წინააღმდეგ შემთხვევაში დამნაშავეს ჯარიმა გარდაჰხდება.

✦ ტფილისის სააბრეშუმო სადგურის მოხელე ივანოვი სამის თვით საზღვარგარედ იგზავნება, რომ შეისწავლოს, თუ როგორა ჰღებავენ მატყლსა, აბრეშუმსა და სხვა ნართსა. ხარჯად ივანოვს 600 მან. ეძლევა.

✦ სამეურნეო საზოგადოების გამგეობას მიუღია სია იმ წიგნებისა, რომლებიც მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს აქამომდე დაუბეჭდია მეურნეობისა და ტყეთა შესახებ.

✦ გუბერნიის ექიმი ქიქოძე ბორჩალოდგან ტფილისს დაბრუნდა. მისი თანაშემწეც, რომელიც მეჯვრისხევის ქსენონის დასათვალიერებლად იყო გაგზავნილი, უკვე დაბრუნდა ტფილისს.

✦ სავაჭრო ნავთ-სადგურების და ნაოსნობის მთავარ გამგეობას აგვისტოს პირველ დღეებში მსჯელობა ექმნებათ ახალ ნავთ-სადგურების გაკეთების შესახებ სოხუმსა და თემრიუკში.

✦ ტფილისის სახელოსნო სასწავლებლის შეგირდები, რომლებიც რუსეთში მოგზაურობდნენ, უკვე დაბრუნდნენ ტფილისში,

✦ ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსი შუამდგომლობს, რომ მხოლოდ ბაკურიანის რკინის გზაზედ შემცირდეს მიმოსვლის ტარიფი.

✦ სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ განკარგულება მოახდინა, რომ ამ უწყების ტყის მცველებმა თვალ-ყური ადევნონ იმ ტყიან მამულებსაც, რომლებიც დაგირავებულია სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკის ტფილისის განყოფილებაში.

✦ საბუჰგალტერო კურსების დამაარსებელს ი. ბრონ-ფონ-ბრენერს განუზრახავს ტფილისის ნოქრებისათვის საღამო კურსებიც დააარსოს, რადგანაც ამის სურვილი ბევრს ნოქარს გამოუცხადებია. ამ კურსებზედ მიიღებენ იმ ნოქრებს, რომლებმაც წერა-კითხვა იციან. წლიურად თითო მოსწავლე 40 მან. გადიხდის, თვეში-კი—5 მანათს. მსურველთ შეუძლიანთ ჩაეწერონ მხოლოდ 15 აგვისტომდე.

✦ მკითხველებს ეხსომებათ, რომ ამას წინად აქსტაფის სადგურზე სადღაც გაჰქრა ის კასსირი, რომელსაც თან ხუთასი თუმანი ჰქონდა სადგურებში მოგროვილი. იმ დროს ამ კაცისა ვერც ასავალი გაიგეს, ვერც დასავალი, ზოგი იმასაც ამბობდა, ბოროტ-მომქმედებმა ფული წაართვეს, თითონ მოჰკლეს და გვამი სადღაც ჩაჰფლესო. ეხლა, როგორც „ტ. ფ." ატყობინებენ, ეს მეარტელე ალექსანდროპოლში უპოვნიათ ჯანსაღი და ჯანმრთელი. ჯერ-ჯერობით არ იციან, ფული დახარჯა, თუ კიდევა აქვს რამე.

✦ მასწავლებელს არტემ ყარაგეზოვს განუზრახავს ცხენის რკინის გზის გაყვანა საბურთალოსაკენ, ჯერ-ჯერობით ქალაქიდან სამის ვერსის მანძილზე. ამ აზრით ყარაგეზოვს მიუმართავს მაზრის უფროსისათვის და უთხოვნია, შუამდგომლობა აღძრას გუბერნატორის წინაშე. მაზრის უფროსს შუამდგომლობა და საჭირო ქაღალდები უკვე წარუდგენია გუბერნატორისათვის.

**მეცნიერების შესანიშნავი აღმოჩენა**

ნორვეგიელი გაზ. „ვერდ. მან."-ის პარიჟელი კორესპონდენტი იუწყება დეპეშით: პასტერის აქაურ ინსტიტუტში პროფესორმა რუმ და მეჩნიკოვმა უჩვენეს სამკურნალო ფაკულტეტს შიმპანზე (მაიმუნია ერთგვარი), რომლისათვისაც ათაშანგი (სიფილისი) აუცრიათ. ამ სენს შიმპანზეს სხეულში ისეთივე თვისება მიუღია, როგორც ადამიანისაში. ამ სამაგალითო. გამოკვლევის შედეგი იქნება—განკურნება, წინდაწინვე დაცვა და დასასრულ სრულიად მოსპობა ამ საშინელ სენისა".

„როგორც-კი მივიღეთ ეს დეპეშაო, სწერს გაზეთი—მაშინვე ვაცნობეთ დეპეშითვე მისი შინაარსი პროფესორ რუს და ივლისის 29-ს შემდეგი პასუხი მივიღეთ: „Chimpansé a pris chancre syphilitique. Bien autre chose. Rout." (შიმპანზეს სიფილიტიური შანკირი შეეყარა. სხვა არაფერი. რუ).

ამგვარად პროფესორი რუ ადასტურებს, რომ შიმპანზესათვის მართლა აუცრიათ ათაშანგის შხამი. მეორე ნახევარი რუს დეპეშისა შეეხება ჩვენის კორესპონდენტის სიტყვებს—ამის იქით შეიძლება ათაშანგისაგან განკურნება და სრულიად მოსპობა ამ სენისაო; ამის შესახებ რუ, როგორც დინჯი და ფრთხილი მეცნიერი, რასაკვირველია ჯერ-ჯერობით გადაჭრით არას ამბობს, სანამ თავის გამოკვლევის ნამდვილ, უტყუარ ნაყოფს არ იხილავს.

რათა უკეთ გავითვალისწინოთ ამ გამოკვლევის დიადი მნიშვნელობა, უნდა გვახსოვდეს, რომ ამ უკანასკნელ 50 წლის განმავლობაში მრავალჯერ სცადეს მეცნიერებმა სხვა-და-სხვა პირუტყვებზე ამ სენის აცრა, მაგრამ ამაოდ. ათაშანგი ხომ გადამდები სენია და, ალბად, თვალით უხილავ პაწაწა შხამიან ცხოველებით (ბაცილებითა) ჩნდება,—წინადაც იცოდნენ, მაგრამ აქამდე ვერც ერთმა მეცნიერმა ვერ მოახერხა ამ ბაცილების აღმოჩენა. თუ ეს ცოდნა მთელს ქვეყნიერობაზედ განთქმულ ინსტიტუტისა ჩვეულებრივ მართალი აღმოჩნდა, შესაძლო იქნება ათაშანგისაგან განკურნება, როგორც ყვავილისა, ცოფისა, ხუნაგისა და სხვა ამგვარ სენთაგან.

„ჩვენაო—სწერს გაზეთი—ამის შესახებ ბივმართეთ ბევრს ჩვენს სპეციალისტს და ყველამ ის აზრი გამოსთქვა, რომ ამ ახალ გამოკვლევით ახალი ხანა იწყება სამკურნალო მეცნიერებაშიო. თუნცა ზოგიერთებმა ეჭვის თვალით შეჰხედეს საქმეს და განაცხადეს,—ჯერ-ჯერობით ვერას ვიტყვით, სანამ უფრო დაწვრილებითს ცნობებს არ მივიღებთო, მაგრამ განთქმულ მეცნიერთა—რუსა და მეჩნიკოვის სახელები სრული თავდებია, რომ საფრანგეთის მეცნიერება ამ საქმეშიაც ძლევამოსილი დარჩებაო".

## ჩვენებური ამბები

**ქუთაისი.** საკათედრო ტაძრის განახლებას შეუდგნენ. ტაძარი შიგნითაც გამშვენიერებულ იქმნება. ახალი კანკელი მზადდება. მუშაობას კარგა დრო დასჭირდება. ამ ჟამად წირვა-ლოცვა მოუხერხებელია.

—

ქუთაისის ოლქის სასამართლოს პროკურორს წარუდგინა გამომძიებელმა საქმე, რომელიც დაიწყო ფოთელ ვაჭრის მეტაქსას საჩივრით. ეს ვაჭარი ფოთის ქალაქის გამგეობას თვით-ნებობას აბრალებს, რადგანაც გამგეობამ აალებინა მეტაქსას-მიერ ნავთ-სადგურს ახლო წყალის ასაყვანი მანქანა.

—

დ. სოჭის თვით-მმართველობის მიერ არჩეულ რვა რწმუნებულს გარდა მთა-

ვართებელმა ოთხიც სხვა დანიშნა დეპუტატთა რიცხვის შესავსებლად.

—

ფოთიდგან ატყობინებენ „ჩ. ვ.“, რომ მარგანეცი ამ ბოლოს დროს ნაკლებად გააქვთო.

—

იმავე გაზეთის სიტყვით, ბათუმში ბევრი ახალი სახლი აშენდა, მაგრამ სადგურების ქირა-კი არა კლებულობს. ტრამვაი რომ იყოს, მაშინ შეიძლება ქალაქის განაპირას იცხოვროს ღარიბმა ხალხმა, მაგრამ ამაზედ არავინა ჰფიქრობსო.

—

სახელმწიფო ქონებათა და მეურნეობის მინისტრის რწმუნებულს ანგარიში წარედგინა ჩაის მოყვანის შესახებ ამიერ-კავკასიაში. ჩაის ბუჩქები გაუშენებიათ ოზურგეთის, სენაკისა და ზუგდიდის მაზრებში, 25 ადგილს. სულ 3,000 ნერგი დაურგავთ. უფრო ხარობს თურმე შემოდგომას დარგული. ერთი დესეტინა მიწა 600—1000 გირვანქა ჩაის იძლევა თურმე, რაც ეღირება 360—480 მანათი.

—

**სამაჩაბლო.** 17, 18, 19 და 20 ამ თვეს გულის კანკალით შევყურებდით, რადგან ერთის მხრივ სამაჩაბლო ოსები ემზადებოდნენ და მეორე მხრივ თავადი მაჩაბლები საომრად. აი საქმე როგორ გახლდათ: ვინმე სავი ფარასტაშვილს მოუჭრია და მოუმზადებია ორი ათასზე მეტი დასახერხი ტივის ხე. ეს ხეები ჩაუყრია წყალში, რათა გერამდის წყლით ჩაეტანა და იქიდგან ტივებად ჩაეზიდნა ქალაქში. აი ამ ტივებს შეუკრეს თამარაშენ მივე გზა მაჩაბლებმა და დაუწყეს წყლიდან ზიდვა. აქ მოველოდით შეტაკებას, მაგრამ, ბოქაულთა და სხვა შუამავალთა ჩამორევით მშვიდობიანად გათავდა საქმე. იმედია, როგორც ოსები, ისე მაჩაბლები დღეიდგან მაინც აიცდენენ ასეთ გვარ უსიამოვნებას და თავიანთ ქონებას დაიცავენ თავიანთვე ალაგას.

—

წელს ჩვენსკენ პურის მოსავალი საშუალოზედ ნაკლებია. თუ მოვიდა რამე, ისიც ლაშებში. მკა დაწყებილია, კალოებს უკვე ამზადებენ, თუმცა კვლავ ამდროს ნახევრობით გალეწილიცა ყოფილა. სიმინდები ავის თვალით არ ინახვის. ცოტა ყაჩაღებისა გვეშინიან, თუმცა კი ჩვენი „სტრაჟა“ ფეხდაფეხ მისდევს.

ამ დღეებში ს. თამარაშენში (ცხინვალიდან 3 ვერსია) საბძელი დაუწვეს თ. სიკო მაჩაბელს. ამას გარდა ამ თავადს სახლიც ჩაენგრა. რომელი იჩივლოს ამ გაჭირების დროს, აღარ იცის.

ჩვენსკენ საქონლის თურქულია. საქონელი ვეღარ იძვრის და ისიც რა დროს?!

ამ ათი-თორმეტის დღის წინად ერთი შინაური გამოჩენილი (ყველა ავადმყოფობაში) დალაქი ექიმი დაგვიპრეს თავში ბარით. სხვისა მაზიარებელი თითონ უზიარებელი კვდებოდა და ურჩიეს ქალაქში წასვლა. თუ ამ ჭრილობას გადურჩა, იმედია, საუკეთესო დოსტაქრობას შეისწავლის და ეს ერთი ჭირიც მარგებელი გაუხდება.

# კავკასია

**კისლავოდსკი.** მთელს რუსეთში კისლავოდსკი საუკეთესო საგარაკო ადგილად არის აღიარებული. ეს გაზვიადებული სახელი უფრო აიხსნება ნარზანის თვისებით, რომელსაც დიდი გასავალი აქვს ადგილობრივ და გარედაც, ვიდრე თვითონ კისლავოდსკის ბუნებრივის სიმშვენიერით, როგორც საგარაკო ადგილისა. ნარზანი ადგილობრივ სასიამოვნო სასმელია; ნარზანშივე ბანაობა ჯაფისაგან მოქანცულს ადამიანს აგრძნობინებს ჯანის დაბრუნებას, ნერვებ აშლილ ადამიანს ამშვიდებს და აძლევს შეღავათს და სხ.

რაც შეეხება ადგილობრივ ჰავას, ბუნების სიმშვენიერეს, მეაგარაკეთათვის შეღავათიანს ცხოვრებას—ამ მხრით კისლავოდსკი ჯერ კიდევ ითხოვს ბევრს საჭირო გაუმჯობესებას და ბევრით ჩამორჩენილია ზოგიერთ ჩვენებურ აგარაკებთან შედარებით. აქაური გატიტვლებული გორაკები, ბუნების ერთფეროვნება ვერ აკმაყოფილებს სავსებით ყველა ადამიანის ესტეტიურს გრძნობას, თუმცაღა ზოგიერთები ისეთი ქვეყნიდგან მოსულები, სადაც რამდენისამე მანძილზე არა თუ მთას,—მცირე ამაღლებულს გორაკსაც ვერ იპოვით, კმაყოფილნი რჩებიან კისლავოდსკის ბუნებითაც, რადგანაც მათ წარმოდგენაში პატარა გორაკიც ბუმბერაზ მთათა სჩანს.

თვითონ კისლავოდსკი გაშენებულია ჩაღრმავებულ ქვაბოვან ადგილში. აქვე გაშენებულია სასეირნო „პარკი“, მაგრამ ხშირი წვიმების გამო, მაღლობ ადგილებიდან წამოსული ნიაღვარი სულ აქ გროვდება და მთელი პარკი ხშირად ტლაპოთ იქცევა ხოლმე. ამასთან სინესტეც იცის ამისთანა ადგილებში და კოღოებიც იშვიათი არ არის.

მაინც კისლოვოდსკის ბუნების გაუმჯობესებისათვის მთავრობას ყურადღება მიუქცევია და სცდილობს, რომ გარშემორტყმულ გორაკებზედ ტყე გააშენოს. გაუყვანიათ გზები და ჩაურგავთ უკვე ხეები, ბუჩქები და სხვა-და-სხვა გვარი სადეკორაციო მცენარეები, რომელიც მომავალში კისლოვოდსკის ბუნებას ცოტა სიმშვენიერეს მაინც შეჰმატებს.

ამ ჟამად კისლოვოდსკის თვალად სამართლიანად ითვლება რკინის გზის მიერ აშენებული ვეებერთელა შენობა—კურზალი, სადაც მოთავსებულია კარგად მოწყობილი თეატრი და ბუფეტი მოგზაურთა და მოაგარაკეთათვის. აქვე მაღლობ ადგილზედ გაშენებულია სასეირნო ახალი პარკი სხვა-და-სხვა სადეკორაციო მცენარეებითა. რამდენისამე წლის შემდეგ ეს სასეირნო ბაღი მშვენიერი სანახავი იქნება. თეატრი უჭირავს ცნობილს ფორკატტის. ამ ჟამად აქ იმართება ოპერები, რომელშიაც მონაწილეობას იღებენ სხვათა შორის ბ-ნი ფიგნერი, ტარტაკოვი, ქ-ნი შულგინისა. სომეტებული ნაწილი მეაგარაკეთა უკმაყოფილო რჩება, როგორც წარმოდგენებით, აგრეთვე იმ დიდის ფასით, რასაც ახდევინებენ თეატრში შესასვლელად და სადგომ ოთახების დასაქირავებლად. ამ ჟამად კისლავოდსკში აუარებელი ხალხია სხვა-და-სხვა ჯურისა. რიგიანი ოთახი, რაც ძნელი საშოვარია, ფასობს თვიურად 200 მანეთამდის და მეტიც, მაგრამ იშვიათად იპოვის კაცი ისეთს ოთახს, რომ ყოველის მხრივ უნაკლულო იყოს.

კურზალში ბუფეტი უჭირავს ქართველს, ბ-ნს ონისიმე შავგულიძეს და სტ. ელიაძეს. კურზალის ბუფეტის რთულის საქმის გაძღოლა და კარგად წაყვანა მცირე გამოცდილებას და სავაჭრო უნარს არ ითხოვს. ამ რთულ საქმის გაძღოლას სამასამდის მოსამსახურე სჭირდება. როდესაც უკვირდები ამოდენა მოსამსახურეთა ფუსფუსს, განწესებულ სამუშაოს მკვირცხლად შესრულებას, შესაფერს თავდარიგს და საუცხოვო წესიერებას, განცვიფრებაში მოსდიხარ და არ გჯერა, რომ ამ საქმის მოთავე ქართველია და ისე კარგად დაუყენებია საქმე, რომ უკეთესი შეუძლებელია, როგორც პატრონისა და მოსამსახურეთათვის, აგრეთვე სტუმრებისთვისაც, რაც ყველაზე უფრო ყურადღების ღირსია. ამისთანა ადგილს თხუთმეტ შაურად ისეთს სადილს მიირთმევთ, რომ სხვაგან მანეთ-ნახევრადაც ვერ გამოხვალთ იოლად.

მოსამსახურე ლაქიების მომეტებული რიცხვი ქართველებია; თითო მათგანი დღეში აიღებს არა ნაკლებ თითო თუმნისა და ზოგიერთი მთელს სეზონში ათას მანეთსაც გადააჭარბებს. ამისთანა ფულის შოვნა დიდად სახეირო იქნებოდა ჩვენებურ ყმაწვილებისათვის, რომ ყველას ფულის ყადრი და დაზოგვა შეეძლოს, მაგრამ ყველა ასე არ იქცევა. ბედოვლათობა, განცხრომითა და მასთან, სამწუხაროდ, უზნეო ცხოვრებაც იშვიათი არ არის მათ შორის. გრძნობათა აყოლა და ნაშოვარის დაუზოგველობა იაფად არ უჯდება ზოგიერთებს. საუკეთესო მაგალითს სამშობლოდგან გამოხვეწილ ყმაწვილ-კაცებისათვის იმ აზრით, რომ ორიოდე გროში იშოვონ და თავიანთ და თავისიანთ კეთილ ცხოვრებას მოახმარონ, წარმოადგენენ ბ-ნნი ონ. შავგულიძე და სტ. ელიაძე, რომელთაც ყმაწვილობისას არა ერთი შავი დღე, შრომა და ჯაფა გამოუვლიათ და აუტანიათ კიდეც და ყმაწვილობაშივე ნაშოვარი არ გაუფლანგავთ სხვებსავით და დღეს, როგორც ყველა დაინახავს, სახელიც შერჩენიათ მშრომელ ადამიანისა და ქონებაც. ბ-ნთ შავგულიძისა და ელიაძის დაყენებული საქმე მთელს სკოლას წარმოადგენს ჩვენებურ ახალგაზდა მომავალ ვაჭართათვის და, ვინც ამ სკოლას გაივლის და საღის თვალით დაუკვირდება თანამედროვე ცხოვრებას, მომავალში ბევრად მოგებული დარჩება.

კახაბერი.

—

**ქ. კავკავში** და სამკურნალო წყლებზე მრავალნაირი ნივთები დააქვთ თურმე და მყიდველებს ატყუებენ, ძველი საარქეოლოგიო ნივთებიაო. ეს ყალბი ნივთები—ფული, იარაღი, ქალის სამკაული და სხვა—მეტ.დ ხელოვნურად არის გაკეთებული და ისე წააგავს ძველს ნივთეულობას, რომ სიძველეთა მცოდნე არქეოლოგებიც-კი ტყუვდებიან.

ამასთანავე, როგორც „ახ. მიმ.“ ატყობინებენ, თერგის ოლქში ბარბაროსულად ანადგურებენ თურმე ყოველგვარ ძველ ნაშთებს—ტაძრებს, კოშკებსა და სხვა.

— პეტერბურგის საარქეოლოგიო ინსტიტუტის წევრმა—თანამშრომელმა გასთხარა რავდენიმე გორხანა ცხელ-წყლების ახლო და ბევრი მსწავლულთათვის ღირსშესანიშნავი ნივთეულობა იპოვა.

# რუსეთი

ცალკე საბჭოს, უმაღლესად დაწესებულს, საჭიროდ დაუნახავს დიდი ყურადღება მიექცეს გზების კეთებას და მეტადრე იმ გზების კეთებას, რომელსაც ადგილობრივი მნიშვნელობა აქვს. ცალკე საბჭოს რჩევით, მთავრობას უკვე გადაუწყვეტია 1904 წლისათვის გადადებულ იქმნას 15 მილიონი რუსეთის იმპერიაში ამ ქვა-ფენილ კერძო გზების გასაკეთებლად.

— ვ. კოროლენკო მიდის ურალისკენ და უნდა მასალა შეაგროვოს თვისის ახალის ნაწარმოებისათვისაო.

— 20 წელიწადი სრულდება, რაც გარდაიცვალა შესანიშნავი რუსთა მწერალი და ბელეტრისტი ი. ს. ტურგენევი. ქალაქი ორიოლი, სადა დაიბადა ტურგენევი, ემზადება სათანადო პატივი სცეს გამოჩენილის მწერალის ხსენებას.

— ვიტებსკიდან დიდძალმა ხალხმა დაიწყო დენა ციმბირისაკენ გადასასახლებლად ჯერ ისევ მარტიდან. მას უკან ეს დენა ნელ-ნელა დასცხრა.

— პერმის გუბერნიაში საოცრად გამრავლდა სკოლები ერობის შემოღების შემდეგ. ერობის შემოღებამდე, 33 წლის წინად, იყო სულ 238 საერო და 27 საეკლესიო სკოლა. შარშან წინ-კი, ე. ი 1900 წელს იყო 968 მარტო საერო სკოლა, საეკკლესიოებს გარდა. მოსწავლეთა რიცხვმაც შესაბამად იმატა, რასაკვირველია. 1870 წელს იყო 8597, ხოლო 1900 წელს—74.879.

— მოსკოვის უნივერსიტეტი ითხოვდა თავის შენობათა გასამატებლად და მოსაწყობად თითქმის ერთ მილიონ მანეთს, 881.279 მ. 70 კ. სახელმწიფო საბჭომ ეს ფული შეამცირა 20%-ით.

# ნარკვევი

აი რა უთქვამს გამოჩენილსა და მხცოვანს მწერალს ლ. ნ. ტოლსტოის მარქსის მოძღვრებისა და საზოგადოდ მარქსიზმის შესახებ ერთის ლიტერატორისათვის:

— თქვენ მარქსის მიმდევარი ბრძანდებით ან შეიძლება წინად იყავით მარქსისტი... რა სამწუხარო შეცდომაა, როცა კაცი მსხვერპლი შეიქმნება რაღაც საზოგადოსი, სტიქიონისა, შემთხვევისა!.. ასე მსხვერპლად გახდომა არამც თუ კარგი არ არის, სისულელეა, არამედ უარარაობაც არის. აბა, შიიხედ-მოიხედეთ, რანაირ სწრაფად და თავის-თავად გაჰქრა და გაიფანტა მარქსიზმი. არც-კი არავინ იბრძოდა იმის წინააღმდეგ. ბრძოლა კი არა, ხალხი მიხვდა, რომ ამ წიგნურის გატაცებით სიცოცხლე ფუჭად შეუძლებელია. ან-კი რით უნდა აცოცხლოს კაცი მარქსიზმმა. თავის დროზედ მინდოდა წერა მაგ მოძღვრების შესახებ და მარქსის წინააღმდეგ, მაგრამ როცა კალამი ხელში ავიღე, მივხვდი, რომ საწერიც-კი არაფერი იყო.

ტოლსტოის ახალ-მოდის მწერალთა შესახებაც გამოუთქვამს თავისი აზრი და დაუსკვნია, რომ მეტის-მეტად აზვიადებენ მათ მნიშვნელობასაო. გორკისა და ჩეხოვის შესახებ უთქვამს ესა.

— ნიჭი აქვთ, მაგრამ ღმერთმა უწყის როგორ ეკიდებიან ამ ნიჭსა, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, როგორ ეკიდებიან გაზეთები, კრიტიკა, საზოგადოება .. ასე ამაღლება, ასე გაბერვა რასა ჰგავს?

— ნერვოზის დროა, ბატონო.,. ყველას უცბად უნდა იპოვოს გასაღები ყოველის კლიტისა, ახსნა ყოველის გამოცანისა. ამიტომ ფეთდებიან და კითხულობენ გაგიჟებით იმათ ნაწერებს.

— რეკლამის დროა.. ამისთანა არა გამიგონია-რა მთელს ჩემს სიცოცხლეში. არც ტურგენევისა, არც გერცენის შესახებ ამდენი ყვირილი არა ყოფილა... ეს გარემოება სამწუხაროა პირველ ყოვლისა იმიტომ, რომ ხალხი ჰქმნის კერპებს, აქებადიდებს მათს ნაწერებს, ფარივით აუფარების ყოველივე ესე წინ და ვეღარა ჰხედავს ნამდვილ, ცოცხალ ცხოვრებას. ცხოვრებაში-კი ბევრი რამ არის საგულისხმიერო, გულის-გამკეთებელი და სანუგეშო...

# თეატრი და ხელოვნება

კერჩიდგან „Нов. Вр.“-ას დეპეშით ატყობინებენ შემდეგს: „ამ დღეებში ვიღაც ბორისოვმა დაჰბეჭდა აფიშები და თავისთავი გამოაცხადა კასტელლიანოს იტალიურ ოპერის ადმინისტრატორად. აფიშებში გამოცხადებული იყო წარმოსადგენად ვერდის ოპერა „ერნანი“ განთქმულის ბატტისტინის მონაწილეობით. ხალხი აუარებელი მოაწყდა, ბილეთები დაიტაცეს, მაგრამ .. წარმოდგენის დღეს ბორისოვი სადღაც გაქრალა; თურმე აქ უპასპორტოდ სცხოვრობდა“.

—

**სოფ. ზემო-ხოდაშენი** (თელავის მაზრა). თუ რავდენად ვრცელდება ხალხში სურვილი გონებრივის წარმატებისა და განვითარებისა, სჩანს იქიდანაც, რომ შაბათს, ამ თვის 19 ს. ზემო-ხოდაშენში, სადაც-კი მზის სხივიც იშვიათად შეიხედავს ხოლმე ცენის მოყვარულთაგან ქალთა: ტ. როსტომაშვილის, ბ. როსტომაშვილის, მ. აბაშიძის. ბ-ნთ გრ. აბელიშვილის, ი. აბელიშვილის, კ. ანრდონიკაშვილის, დ. მგალობლიშვილის და სხ. დახმარებით გამართულ იქმნა ქართული წარმოდგენა. წარმოადგინეს 1) „დასჯილი“ დრ. 2 მოქ. აწყურელისა, 2) „ბაიყუში“ კომ. 2 მოქ. ცაგარლისა და 3) „ორი მშიერი“ ვოდ. 1 მოქ. აწყურელისა. წარმოდგენას საზოგადოება, როგორც კეთილშობილთა, ისე დაბალი წოდება ბლომად დაესწრო. სამწუხაროდ, მოთამაშეთ როლები რიგიანად ვერ შეესწავლათ, რის გამოც სიტყვები ყელში ეჩრებოდათ; სხვა ნაკლულევანებანიც ბევრი ემცნეოდათ. ბ-ნმა გრ. აბელაშვილმა ვერაფრად დაგვისურათა რევაზ თავ-ქარიანი, რადგან იგი თავის ყმაწვილურს მიხვრა-მოხვრას, ლაპარაკს, ქცევას და სხვ. ვერ ახწევდა თავს. ქ-ნი მ. აბაშიძის, ჩემის აზრით, ტყუილად ებდაუქება იმისთანა როლებს, როგორც მაგ. ელისაბედისას, სადაც საჭიროა სიცოცხლე, რაც მას სრულებით არ ეტყობოდა. კოტეს როლში ბ-ნ კ. ანდრონიკაშვილს არა უჭირდა-რა, მაგრამ სამაგიეროდ თალიკოს როლში ქ-ნი როსტომაშვილისა მეტისმეტი უცნაური სანახავი გახლდათ; დ. მგალობლიშვილმა იმედი გაგვიცრუა და

# ფელეტონი

## ქურდობა მწერლობაში

(პლაგიატი)

ქურდობა მწერლობაში ისე გავრცელებულია, როგორც ოდესმე ცხენის ქურდობა იყო გავრცელებული ბანძასა (ოდიში) და ჯავის ხეობაში (გორის მაზრა). ქურდობის საგანი ყოველთვის ის არის, რასაც ფასი დევს, გასავალი აქვს. როგორც-კი მწერლობას ფასი დაედვა და მწერლობა ჯერ საპატიო და მერე სასახელო საქმედაც გადიქცა, მაშინვე გაჩნდნენ ქურდებიც. ისინი მწერლებს ნაწარმოებს ჰპარავდნენ და საზოგადოებაში ავრცელებდნენ, როგორც თავიანთ ნაწერებს. რაც დრო გადის, უფრო მრავლდებიან მწერლობაში ქურდები, რადგანაც უფრო და უფრო მეტი ფასი ედება მწერალს, როგორც მოწინავე კაცს საზოგადოებისა და კაცობრიობისას. სახელს გარდა, ახლანდელ მწერლობის ქურდს ნივთიერი ანგარიშიც (თუ ზოგჯერ მთლად ეს უკანასკნელი არა) აქეზებს საქურდლად, რადგან ამ ჟამად მეტ-ნაკლებათ ცნობილ მწერლის ნაწერში გამომცემლები და წიგნის მაღაზიები ფულსაც კარგს იძლევიან.

თუ გინდათ გაიგოთ—პირველ როდის დაედვა ფასი მწიგნობრობას ამა თუ იმ ხალხში, გაიგეთ როდის გაჩნდა იმ ხალხში პირველი ქურდი მწერლობისა, და დღე მისი გაჩენისა იქნება იმ დღეთ, როცა ერმა შეიგნო მნიშვნელობა მწერლობისა და ფასი მწერლისა.

ქართულ მწიგნობრობაში (ნაბეჭდში) პირველ კვალს მწერლობის ქურდისას მეჩვიდმეტე საუკუნის მეორე ნახევარში ვპოულობთ. პირველ სამწერლო ქურდობის საგნათ გამხდარა სულხან-საბა ორბელიანის ქართული სიტყვის-კონა (ლექსიკონი) და მისი ქურდი (პირველი ქრონოლოგიურად) ყოფილა ტფილისელი იობ წინამძღვარი. შესანიშნავია ის თავდაჭერილობა და სიდარბაისლე კილოსი, რომელსაც ხმარობს სულხან-საბა ორბელიანი მის გამქურდავის სამხილებლად. ჩვენს დროშიო, ამბობს ამაგდარი ავტორი სიტყვის კონისა,

„თბილისში ჰსცხოვრობდა წინამძღვარი იობ, კაცი ფრიად მსწავლული, კარგი მოსაუბრე, მცოდნე და მკითხველი ჟამნისა და დავითნისა, კარგი გამომთქმელი, ნაქები მგალობელი, განთქმული მწერალი (?!), დაუცხრომელი ღვთის მლოცველი, შვიდეულის მმარხველი და ტკბილი შემყრელი. როდესაც მე დავიწყე შედგენა ამ „სიტყვის-კონისა“, იგი აძაგებდა და მკიცხავდა მე, ხოლო, რა დავასრულე, ჰნახა და მოეწონა. მე ვათხოვე გადასაწერად, მან გადასწერა, მაგრამ, სადაც იყო ჩაწერილი ჩემი სახელი, ამოეშალა და მისგან გადაწერილში ჩაეწერა თავისი სახელი, ვითომც მას შეედგინოს. მე ამით ფრიად გავვოცდი: როგორ თუ ამისთანა სახელოვანმა კაცმა არ იუკადრასა ესე?! ნათქვამია: „ნუ მიუზღავ ბოროტისათვის ბოროტით...“

მაშ რითი მიუზღო სულგრძელმა ავტორმა სულ მოკლე ქურდს? აი ამ საოცარ ოსტატობით დაწერილი ფრაზით:

„რადგან მან ჩემს შრომაში ჯერ მოიხსენია ჩემი სახელი და ჩასწერა თვისი სახელი, ამისთვის მე ჩემს შრომაში შევიტანე ქება მისი“...

იობ წინამძღვარის შემდეგ იოანე ბატონიშვილი, მეთვრამეტე საუკუნის ბოლოს, ითვისებს იონა ხელაშვილის „კალმასობას“. მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში სამწერლო ქურდობას ეწევა პეტრე ლარაძე, ხოლო მეორე ნახევარში ბევრი ნაწერებით ცნობილი გრ. რჩეულოვი ტიპიური პლაგიატორია (სამწერლო ქურდი). მისი განთქმული „თამარ ბატონიშვილი“, რაფიელისაგან და სვ. გუგუნავასაგან გალექსილი, მოპარული ინგლისური რომანია, „ანუკა ბატონიშვილი“ იტალიური მოთხრობაა („იზაბელლა მედიჩი“), აგრეთვე „ქვრივის ლიმონები“. დანარჩენი მისი ნაწერებიც მოპარული რუსული რომანებია, ან რუსულად თარგმნილი ფრანგული რომანები.

აწინდელი ჩვენი ჟურნალ-გაზეთები ხომ სავსეა ნაქურდალი ნაწერებით,—პუბლიცისტური წერილებით, ესკიზებითა და ლექსებით. „განათლებული“ ქურდები ჰბედავენ გაჰქურდონ ისეთი განთქმული მწერალი, როგორც მაგალითად, ილია ჭავჭავაძე, რომლის ერთი დიდად გავრცელებული ლექსიც („მესმის, მესმის სანატრელი...“) ახლოხან მოუპარავს ვიღაც დ. ლ—ს და მოგვმართა დავუბეჭდვინოთ რომელსამე გაზეთში, „თუ ეს გამოდგებაო“,—გვითხრა ვითომდა გულუბრყვილო ვაჟბატონმა, — „ამისთანები კიდევა მაქვსო“... ღმერთმა გვაშოროს! ჩვენ მხოლოდ ერთ რაშიმე ვიხმართ სულხან საბა ორბელიანის სულგრძელობას: არ დავასახელებთ სრულს სახელსა და გვარს ამ ბატონისას და ისიც მხოლოდ იმიტომ, რომ ჯერ არა დაბეჭდილა-რა მისი და მისი სახელი ამის გამო ცარიელი სიტყვა იქნება მკითხველისათვის. სხვაფრივ კი ვიტყვით, რომ მისი ტვინის საქმისათვის არ მოუკიდია ხელი: მწერლობაში ქურდობასაც კი ხელის ცოდნა და შესაფერი გემო სჭირია... დ. ლ—ს კი არც ერთი ეს თვისება არა აქვს, როგორც ეს ამ ერთი მონაპარავიდგანვე სჩანს...

ბარემ მოვიყვანოთ დ. ლ—საგან გაქურდული ლექსი ილია ჭავჭავაძისა და და მერე თვით ის ნაქურდალი ნაწარმოებიც, რომ მკითხველს უფრო ნათლად დავანახვოთ ის სამწერლო ხრიკები, რომელთაც პლაგიატორები ჰხმარობენ სხვისი ნაწარმოების თავისად გასასაღებლად.

დედანი ილ. ჭავჭავაძისა:

„მესმის, მესმის, სანატრელი
ხალხთ ბორკილის ხმა მტვრევისა,

გასპარას როლს ვერაფერი შნო და ლაზათი დაადევნა.

მაინც და მაინც მადლობის ღირსია ორთავე ტ. როსტომაშვილისა იმ მეცადინეობისა და შრომისათვის, რომელიც მან მიიღო წარმოდგენის გამართვაში; მაგრამ, მაგარიც ის გახლავთ, რომ სოფლად ასე ძვირფასიანი წარმოდგენა, როგორც მაგ. შვიდ აბაზამდის ბილეთის გაყიდვა, ყოვლად უხერხულია, რადგან მდაბიო ხალხისათვის ამნაირი ფასი მეტისმეტად საგრძნობელია.

დამსწრეთაგანი

# ბიბლიოგრაფია

დაიბეჭდა და დარიგდა გასასყიდად ახალი წიგნი თიმსარიანი, თარგმნილი სპარსულიდგან მეფის თეიმურაზის მიერ. წიგნი გამოცემულია „საქართველოს ისტორიისა და ლიტერატურის მოყვარეთა“ მიერ, ე. თაყაიშვილის რედაქტორობითა და წინასიტყვაობით. სიტყვა თიმსარი ანუ თიმსალი სპარსულს ენაზედ ჰნიშნავს არაკსა ანუ ამბავს. წინასიტყვაობაში ვკითხულობთ:

თავდაპირველად ეს თხზულება ინდოურს ენაზე გაჩენილა, ინდოიდგან მომდინარეობს ფალაური თარგმანი, ფალაურიდგან—ძველებური სპარსული მეათე საუკუნისა. მეთორმეტე საუკუნეში ძველი სპარსულიდგან შეუმუშავებიათ ახალი თარგმანი.—სპარსულიდგან არის ნათარგმნი ქართული თიმსარიანი და თათრული. ფალაური ენიდგან აგრეთვე ეს თხზულება უთარგმნიათ არაბულზე, არაბულიდგან ასურულზე, ებრაულზე და ისპანიურზე, ხოლო ასურულიდგან მომდინარეობს ბერძნული თარგმანი. ამგვარად თიმსარიანის თარგმანი ყველა ძველ ცნობილ ლიტერატურას ჰქონია და ამ მხრივ არც ქართული ჩამორჩენია სხვებს...

სპარსულს „დიდს სინდბადის წიგნში“, რომლიდგანაც ქართული თიმსარიანი არის ნათარგმნი, სულ ოცდა ცამეტი თიმსარია. ქართულში ერთი თიმსარი „მოზიზღარი კაცი და პურები“ არ არის სრულებით და ერთიც „ოფოფი და განდეგილი აკლია ხელთნაწერს. დანარჩენი ყველაა..,

ჩვენ ხელთა გვქონდა თითქმის ყველა ცნობილი ხელთნაწერები თიმსარიანისა... წერა-კითხვის საზოგადოების ხელთნაწერთა შორის ყველაზე უკეთესი აღმოჩნდა № 1538 მეთვრამეტე საუკუნისა. ამ ხელთნაწერში ტექსტი დაყოფილია თავებათ, თიმსარებს უმეტეს შემთხვევაში სათაურები უზის და ენითაც სხვებს ბევრათ სჯობია და თავდაპირველის რედაქციის კვალი ემჩნევა. ამიტომ ამ ხელთნაწერზე დავამყარეთ ეს გამოცემა...

ამ რიგად სხვა-და-სხვა ხელთნაწერებიდან ჩვენ თიმსარიონის ტექსტი თითქმის შევავსეთ, აკლია მხოლოდ ერთი თიმსარი“.

ძველის მწერლობისა და ტკბილი ქართული ენის მოყვარული მეტად ისიამოვნებს ამ წიგნის წაკითხვით, რომელიც ერთ მოთხრობას წარმოადგენს, „თიმსარებად“ დაყოფილს. წიგნი ფაქიზად არის დაბეჭდილი ქუთათელაძის მსწრაფლ-მბეჭდავს სტამბაში, ბოლოში დართული აქვს გაუგებარი სიტყვების განმარტება და ჰლირს ორი აბაზი.

# წერილი

## რედაქციის მიმართ.

ჩემ მიერ დასტამბულ წერილს „ივერიის“ 133—134 №№-ში „მღვდელი ქრისტეფორე ბადრიძე და ეხლანდელი სამღვდელოება“ ვიდაც „ისევ ის“ გაუწიწმატებია და ჭეშმარიტების დაფარვის სურვილი აღუძვრია. ჩემი ოპპონენტი სცდილობს დაამტკიცოს, რომ მღვდელს „გაუმაძღარს და ხარბს“ არ ეძახიან საინგილოში, მაგრამ დამტკიცების ნაცვლად ლიტონ სიტყვების მეტს ვერაფერს ამბობს.

ქართლ-კახეთის სამღვდელოებას საინგილოსი სჯობიაო, გატაცებით აცხადებს „ისევ ის“, მაგრამ, სამწუხაროდ, ავიწყდება, რომ თუ ქართლ-კახეთის სამღვდელოება სასურველ დონეზედ და ნიადაგზედ ვერა სდგას, ეს საზოგადო ცხოვრების ვითარებით აიხსნება და არა გარეშე შემთხვევითის მიზეზით. ნუ თუ ბ-ნი „ისევ ის“ იტყვის, რომ ეს ვითარება ერთნაირი არ არის ქართლ-კახეთისა და საინგილოს სამღვდელოებისათვის?

როგორც ჩემი წერილის სათაურიდანა სჩანს, მე საზოგადოდ დღევანდელ სამღვდელოებას ვუკიჟინებდი და საინგილოს სამღვდელოების ცხოვრებიდგან ზოგიერთი ფაქტი მხოლოდ განსამარტავად მომყავდა. თუ საინგილოს სამღვდელოებისა ქართლ-კახეთისას სჯობია, არც ეს უკანასკნელი სდგას სასურველ ნიადაგზედ, მაშასადამე, არც ერთი და არც მეორე არ ვარგებულა! მღვდელი საინგილოში „ჩინოვნიკად“ გადაქცეულა: დანიშნულს დროს ჯამაგირის მიღებას ელის და სხვა შემოსავალსაც არ უშვებს ხელიდამ. არა ერთხელ ვყოფილვარ დამსწრე და მოწამე მღვდლების ლანძღვა-გინება, რომელიც გამოუწვევია მრევლისაგან მეწირულ სანოვაგის დაყოფას და განაწილებას ერთმანეთში, ნამეტნავ იმ დროს, როდესაც გათავებულა გამოჩენილი დღეობა საინგილოში—ქურმუხის წმ. გიორგობა. ამ დღეს ათასობით იკვლება საკლავი: ცხვარი, ძროხა, ქათამი, სწირავენ მრავალ აბრეშუმს, კვერცხს, პურს და უთვალსავე სანოვაგეს, რაიც-კი მოიპოვება საინგილოში. აი სწორედ ამ დროს გამოიჩენენ ხოლმე მოძღვრები თავის გაუმაძღრობას. ლანძღვა-გინება, ჩხუბი გაყოფის დროს ბევრჯერ ხალხის თვალ-წინა ხდება. რასაკვირველია, რომ ყველა იმის მნახველმა ხალხმა მოძღვარს „გაუმაძღარი და ხარბი“ დაარქვას? საკვირველი მაშინ იქნებოდა, რომ ეს ასე არ მომხდარიყო. მე ისიც მინახავს, რომ ამ დღეობას ან ალიბეგლოს, ან რომელისამე სოფლის მღვდელი ამოჰყოლოდეს თავის სამწყსოს და კახის მღვდლებთან მოსვლოდეს ლაპარაკი, რომ ჩემს სამწყსოს მე უნდა უკურთხო ტაბლაო. კახის მღვდლებს კიდევ ისე ეპასუხნოთ, რომ რადგან ქურმუხის წმ. გიორგი ჩვენ სამძღვარშია, დღეობის შემოსავალი მხოლოდ ჩვენ გვეკუთნისო. ეხლა, მკითხველო, გინდ სხვა სოფლიდგან მოსულს მღვდელს დაუძახე „გაუმაძღარი და ხარბი“, გინდა კახისას. ვგონებ ამ მოვლენას უნდა დაერქვას „გაუმაძღრობა და სიხარბე“!

სად მიდის ეს ამდენი შემოსავალი და რა ეკარება აქედგან ეკკლესიის გამშვენიერებას? ეს ყოველმა საინგილოში მცხოვრებმა კარგად იცის. რამდენი ხანია აშენდა ქრისტ. აღმ. საზოგ. ქურმუხის წმ. გიორგის ეკკლესია, რომელშიაც ინგილოებმა დიდი ენერგია და სარწმუნოებრივი გრძნობა გამოიჩინეს ამ საქმის განსახორციელებლად და შარშანდლამდე, ვიდრე ერთმა ინგილომ, მიხეილ თაგოშვილმა, არ მოახერხა ერთი ოთახის აშენება, ეკკლესიას აქამომდე მლოცველთათვის უამინდობის და სიცივის დროს თავშესაფარი არა ჰქონდა, როდესაც ერთის დღეობის შემოსავალი სრულებით საკმარისი იქნებოდა ამ შენობისათვის. აი ამ ნაირია დღეს მოქმედება საინგილოს ზოგიერთ მღვდლის; ამგვარი „სიხარბე და გაუმაძღრობა“ მათი ათობით და ასობით ჩამოითვლება, მაგრამ საქმე შორს წავა და წერილიც მეტად გაგრძელდება.

რაც შეეხება იმ გარემოებას, რომ „ისევ ის“ ამართლებს მღვდელს, რომელმაც ხალხისათვის გაუგებარ ენაზედ სიტყვა წარმოსთქვა, „მღვდელმა უცხო ხალხისათვის წარმოსთქვა სიტყვაო“, რა საჭიროა ფაქტების დამახინჯება? მოძღვრის ვექილობა რომ გაგისრია, ბ-ნო „ისევ ის“, განა ფაქტების დამახინჯება და ჭეშმარიტების დაფარვაც უნდა კარსად აგედოთ? თუ სხვა ფრივ თქვენის კლიენტის გამართლება არ შეიძლებოდა? რატომ არ გინდათ ასე სთქვათ: საინგილოს ბლაღოჩინმა წირვის დროს მოკლედ განუმარტა ხალხს სწავლა-განათლების მნიშვნელობა ქალებისათვის და ბოლოს გამოუცხადა ხალხს, რომ დღეს ჩვენი სქალებო სკოლა დღესასწაულობს თავის 10 წლის არსებობასაო. ამის შემდეგ გამართა იგი ხალხით სკოლისაკენ, სადაც უნდა წაეკითხათ სკოლის 10 წლის მოქმედების ანგარიში ან მასწავლებელს ან სკოლის მღვდელს, რომელიც ჩემგნით საზოგადოების წინაშე გამოუვნილმა მოძღვარმა იკისრა, მხოლოდ დუშაში ვერ მოუვიდა. „ხალხისათვის“ გაუგებარ ენაზედ წარმოსთქვა ანგარიში, რადგან ამ ხალხში ორი უცხო ტომისა ერია: ბოქაული და მისი მეუღლე... აი რამ აიძულა პატივცემული მოძღვარი წარმოეთქვა სკოლის ანგარიში ხალხისთვის გაუგებარ ენაზედ და არა სხვა გარემოებამ. ვგონებ, უნდოდა ხალხისათვის დაენახვებინა მოძღვარს, რომ, გარდა ქართულის ენისა, სხვა ენაც ვიციო. ამ გვარი მოვლენა მის მოქმედებაში და ცხოვრებაში პირველი არ არის და რათ ეუცხოვა ეს ჩემგნით მოყვანილი ფაქტი?!.

რაც შეეხება საჯარო დადგენილებას ეკკლესიაში სიარულის შესახებ, ბ-ნი „ისევ ის“ „ჭიან ტყემლადაც“ არა სთვლის ამას. ვგონებ ჩემ ოპპონენტს ტყუილად არ დაურქმევია თავისთვის „ისევ ის“. ამ ფაქტის განმარტებას და ახსნას აღარც მე მოვყვები, იმიტომ-კი არა, რომ ჭიან ტყემლის ფასად არა ვსთვლიდე, სრულიადაც არა. მე არ შევეხები მის განმარტებას იმიტომ, რომ ამისთანა ანომალიურ მოვლენას თვითონ მკითხველი საზოგადოება დასდებს ჯეროვანს მსჯავრს. მის მნიშვნელობას მხოლოდ „ისევ ის“ ვერ გაიგებს, თორემ მეოთხე კლასის მოწაფეც-კი ჭიან ტყემალზედ მეტად დააფასებს.

ამ გვარი შეხედულობა ხალხისა სამღვდელოებაზედ ხელს უშლის ქრისტიანობის გავრცელებასაც საინგილოში. აქ მუსულმანთა მოძღვრებს უფრო მეტი გავლენა აქვთ, ვიდრე ქრისტიან მღვდლებს. აქ ქრისტიანი მღვდელი მუსულმანებსა და ქრისტიანებს შორის ხშირად უთანხმოებას და იძულებას ჰბადავს. დავიჯეროთ ამ სახით ქრისტიანობა უფრო გავრცელდება? თუ ქრისტიანე მღვდელი ისევ ისეთივე სიტყვებით უნდა ავრცელებდეს ქრისტეს სარწმუნოებას, როგორც თვით მაცხოვარმა გვიბძანა: „შეიყვარე მოყვასი შენი, ვითარცა თავი თვისი“-ო?!. აი რა უნდა იყოს საინგილოში მოქმედება ყოველიკე მღვდლისა და არა მუსულმანებსა და ქრისტიანებს შორის განხეთქილების ჩამოგდება. ამ პრინციპებით უფრო შეაყვარებენ, როგორც ქრისტიანი მღვდელი, ისე მისი სამრევლო მუსულმანებს თავიანთ თავსაც და სარწმუნოებასაც. ამ სახით მისცემენ მუსულმანებს იმ ღონისძიებას, რომ შეადარონ კაცთმოყვარე გრძნობით გამსჭვალული ქრისტეს სარწმუნოება თავიანთ მაჰმადის მოძღვრებასთან. მაშინ აღარ გვექნებოდა ისეთი მაგალითები, რომ ინგილოების სოფელი თასმალო, ჯერ გაქრისტიანებული, ისევ ისევ გადასულიყო და დაბრუნებოდა მაჰმადის სარწმუნოებას.

ვინმე

# დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

29 ივლისი.

**პეტერბურგი.** საფრანგეთის მხედრობის შტაბის უფროსმა გენერალმა პენდეზეკმა თანმხლებელ ოფიცრებით დღეს ნახა ცნობილი გენერალი ე. ვ. ბოღდანოვიჩი.—„კანონთა კრებულში“ დაბეჭდილია, შემოღებულ იქმნას დაკლებული ნიხრი ევროპის რუსეთის და სერბიის შორის დეპეშების მიწერ-მოწერისათვის.

**ბელგრადი.** ტაძარში გადაიხადეს წირვა განსვლ როსტკოვსკის სულის მოსახსენებლად. წირვაზედ დაესწრნენ მეფე, რუსეთის მისიის წევრნი, მინისტრები, ოფიცრები და მრავალი ხალხი.

**კიოლნი.** დაბეჯითებით ამბობენ, რომ სერბიის მეფეს განუზრახავს მხედრობის მთავარსარდლად თვისი ძმა არსენი დანიშნოს.

**რომი.** ნეაპოლიდამ და მთლად სიცილიის აღმოსავლეთ მხარიდამ იტყობინებიან, რომ დილით მიწის ძვრა ყოფილა.

**იშლი.** რუმანიის მეფე გოშტეინში წავიდა.

**სტამბოლი.** პრინცმა ახმეტმა ნახა რუსის ელჩი, და, სულთანის მინდობილობით, მწუხარება გამოუცხადა მონასტირში მომხდარ შემთხვევის გამო.

**ბერლინი.** „Kölnische Zeitung“-ი იუწყება ბელგრადიდამ, პოდპოლკოვნიკ ლემანის გოფმარშლად დანიშვნამ მინისტრთა საბჭოში ისეთი ცხარე კამათი ასტეხა, რომ ძლივს გადურჩნენ კრიზისსა იმის შემწეობით, რომ დანიშვნა გამოცხადებულ არ იქმნებაო, ხოლო ლემანი კვალად დარჩება სტამბოლში სამხედრო აგენტადაო; გოფმარშლის თანამდებობის გამგეობა მიენდობა მეფის ადიუტანტსაო. სამმა ოფიცერმა, რომელნიც მეთაურობდნენ მეფის მკვლელობაში, მიშიჩმა, პოპოვიჩმა და ლაზარევიჩმა სამსახურიდამ დათხოვნის ქაღალდი მიიტანეს.

**პარიჟი.** მიწის ქვეშ გაყვანილს რკინის გზაზე მატარებელს ცეცხლი გაუჩნდა. ბევრი მგზავრთაგანი კომლმა დაარჩო. დახოცილთა გვამები სამინდაოდ დამახინჯებული და ბოლისაგან გამჭვარტლული; ეტყობა, დიდი ბრძოლა და ტანჯვა გამოუვლიათ.

**ლონდონი.** ოფიციალურს გაზეთში გამოქვეყნებულია, რომ ის კანონი, რომელიც უკრძალავდა ჩინეთში იარაღის შეტანას, მოისპოსო.—ლორდთა პალატამ მიიღო შაქრის კონვენციის კანონი.

**რომი.** ბორსა, მილაცცოსა, მესინასა, სირაკუზესა, ტარენტოსა, სტაბიასა, სენგსა და ლეჩში მიწა იძრა.

**სალონიკი.** მარშალი რეშიდ-ფაშა ორის ბატალიონით მონასტირში მოვიდა. ხიმში ფაშაც წავიდა მონასტირში.

**პარიჟი.** დილის შვიდ საათზე გვირაბიდამ ამოიღეს 82 გვამი, ამათში 61 კაცისა, 17 ქალისა და 4 ბავშვისა. პოლიციის პრეფექტმა განაცხადა, რომ გვირაბში კიდევ არის დახოცილთა გვამებიო. ამბობენ, რომ დაღუპულთა რიცხვი 90 მდეაო.

30 ივლისი

**პეტროკოვი.** პეტროკოვის გუბერნია წყალდიდობისაგან დაზარალდა 2.136 000 მანეთით.

**იალტა.** იალტაში მოვიდა ბულგარიის სამხედრო გემი „ნადეჟდა“, რომელსაც თან მოჰყვა ბულგარიის ფლოტის უფროსი და გერმანიის გემი „ლორელეი“.

**ვენა.** ჩერნოგორიის მთავარი, მთავრის მემკვიდრე მეუღლეებითურთ და თავადი პეტრე გაემგზავრნენ პეტერბურგში.

სტამბოლიდგან მიღებულ ცნობებით, სულთანმა გამოსცა ირადე, რომლითაც უნდა შესდგეს სამხედრო სასამართლო ბიტოლიაში. და მან უნდა გაასამართლოს კონსულ როსტკოვსკის მკვლელი ხალიმი და მისი თანამზრახველნი.

**სტამბოლი.** დათხოვნილის რიზა-ფაშის მაგივრად, მის ადგილზედ დაინიშნა დროებით ჰუსეინ-ხილმი-ფაშა.

**ლონდონი.** ლორდთა პალატამ მიიღო მესამე წაკითხვაზედ კანონ-პროექტი გემების აშენების შესახებ.

**პარიჟი.** ცარიელი მატარებელი, რომელსაც მეორე ცარიელივე მატარებელი მიჰქონდა, შედიოდა ვაგონების პარკში. სადგურ მენილმონტანის მახლობლად მატარებლებს გაუჩნდა ცეცხლი. მემანქანე და სხვა მოსამსახურეები გადარჩნენ. ამ დროს კურონნის სადგურზედ მოვიდა სამგზავრო მატარებელი, რომელიც სულ გაჭედილი იყო ხალხით. მემანქანემ დაინახა თუ არა, რომ გზა ჩახერგილი იყო, მატარებელი გააჩერა, რომელიც იმწამსვე ხშირ კვამლში გახვია. მგზავრები, საშინელმა შიშმა აიტანა; 200 კაცზედ მეტი მგზავრი მისცვივდა გასასვლელს კარებს, სადაც მოსამსახურეები სცდილობდნენ მათთვის გზის ჩვენებას, მაგრამ ისეთი საშინელი არეულობა და ყვირილი იყო, რომ მათ ყური არავინ ათხოვა. მიშველება მეტად გაჭირდა, რადგან გვირაბი სულ ერთიანად კვამლში იყო გახვეული. გავიდა რამდენიმე საათი, სანამ ცეცხლის მქრობელნი შევიდოდნენ გვირაბში. მატარებლის დაჭრილმა მემანქანემ სთქვა,—ჩემის აზრით, ცეცხლი იმიტომ გაჩნდა, რომ მატორის ლითონის ნაწილები გატყდა და დაეცა რელსებზედ, შეუერთდა იმ მავთულის ძალას, რომელმაც აფეთქება მოახდინა, დასწვა ვაგონის იატაკი და საჩქაროდ მოედო ცეცხლი. ჯერ ჯერობით ამოიღეს 84 გვამი; სულ ყველას სახე დაჯირჯოებული და დასიებულ-გაყვლეფილი აქვს მდუღარე ორთქლისაგან. მიცვალებულნი გადაასვენეს ყაზარმებში. სულის შემძრწუნებელი ამბებია: დახოცილებში ბევრმა იცნო თვისი ნათესავ-ნაცნობები.

**პეტერბურგის ბირჟა, 25 ივლისს**

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირვ. სტ. . . . . | 93,80 |
| ბერლინში 100 მარკაში. . . . . | — |
| პარიჟში 100 ფრანკში . . . . | 37,32½ |
| ლონდონში ჩეკები . . . . . . . | 94,45 |
| ბერლინში ,, . . . . . . . | 46,30 |
| პარიჟში ,, . . . . . . . . | — |
| ბირჟის დისკონტი. . . . . . | 5—6½% |
| 4% სახელმწიფო რენტა. . . . | 99⅝ გაყ. |
| 4% სახ. სესხი 1902 წ. . . . . | 107 წვ. გაყ. |
| 4% გირავნ. ფურც სახელ. საადგ. . . | |
| მამულო ბანკის . . . | 95½ მყიდ? |

სიმართლის ხმა ქვეყნადა ჰქუხს
დასათრგუნავად მონებისა!..
„აღმიტაცებს ხოლმე ის ხმა,
და აღმინთებს იმედს გულში...
ღმერთო, ღმერთო, ის ხმა ტკბილი
გამაგონე ჩემს მამულში!..

დ. დ—ს პლაგიატი.

„სუ!.. მომესმა სასურველი
შრომის მხუთავ ჯაჭვის მსხვრევა,
ხმა ერისა, სიმართლის ხმა
ყოველგან ჰქუხს, ბნელს ერევა!..
„აღმამაფრენს ხმაი ესე
და მინერგავს სასოს გულში...
პაი თუ ვნახო: დამჩაგვრელსა
დაჩაგრული რო სწვდეს სულში!“

ეს „სულში სწვდეს“ რაღაა, არ გაგვიგონია სწორედ... მაგრამ, ვინ იცის, ახლა ისეთი უცნაურობის დროა, მეტადრე ლიტერატურაში, რომ მალე, ეგებიც, ბევრი რამ ისეთი გავიგონოთ, რაც მართლაც არ გაგვიგონია!...

თ. მაგმაძე.

## თავის-მკვლელი.

(ესკიზი)

ახლად ამოსული მზე წყნარად ანათებდა სასტუმროს ოთახს, რომლის შუაგულს იდვა გვამი ახალგაზდა თავის-მკვლელისა. მაყურებელნი ბლომად იყვნენ და ვინ მოსთვლის, რას არ ამბობდნენ. პოლიციის მოხელე მისჯდომოდა მაგიდას და ოქმს ადგენდა. მე-კი მეტად მაკვირვებდა სიმშვიდე და რაღაც სიამოვნებაბედნიერების იერი, რომელიც დასჩნეოდა ფერ-მიხდილ სახეს.

გვამი მისი არა ჰგავნდა დასისხლიანებულ და გაუშნოებულს გვამს თავისმკვლელისას... მისი გვამი სიდინჯე-ბედნიერებაში მიძინებულ ადამიანს წარმოადგენდა.

მივუახლოვდი პოლიციელს და ვითხოვე ნება-რთვა მის წინ დებულ წერილის გადათვალიერებისა. ნება მივიღე და დავიწყე კითხვა წერილისა.

„ვიშოვე რევოლვერი და ვტოვებ გამოსალმების წერილს.. ვკვდები უდარდელად, რადგან დასანანი არა რა მრჩება, სიცოცხლე ბითუმი სიცრუე-სიყალბეა და სხვა არაფერი. იმათ, რომელთაც მე პატივსა ვსცემდი, ან რომელნიც მიყვარდნენ (თუმც არა მჯერა, რომ მყვარებოდა ვინმე), არ ძალუძთ ჩემი ცხოვრებისკენ დაბრუნება, რადგან თვით ისინი, უაზრობას და არარაობას წარმოადგენენ.. მტკიცედ შევიგენ ყოველივე ეს და თან შევიგენ ისიც, რომ თვით ჩემშიაც სიყალბისა და სიცრუის მეტი არა რა იყო.. მაგრამ მაინც თავის დღეში მე სხვაზედ ნაკლების ღირსებისა არ ვყოფილვარ, არც ვარ დღეს მათზედ ნაკლები, რომელთაც ვტოვებ, რათა უკანასკნელ დღემდე იყალბონ, იცრუონ... მშვიდობით, ხალხო! მშვიდობით ვერაგნო და ერთმანეთის ზნე-ჩვეულებათა მიმყოლ-მიმბაძნო მაიმუნნო!.. აქ უნდა დამეშვა ჩახმახი, მაგრამ ფაუსტისაებრ ცისკრის ზარის რეკამ შემაჩერა... მომხიბლავი საიდუმლოებით გაიწკრიალა მისმა ხმამ და დაარღვია სიჩუმე ღამისა.., მას მოჰყვნენ სხვები და გულს ჩასწვდნენ მომხიბლავი სამღთო ხმანი რეკვისა... მომაგონდა ყმაწვილობა. მომაგონდა ოღრო-ჩოღრო და ლაფიანი ორღობეები, შალაფით შებურული ვენახები, ქარში მკვნესავი უშველებელ კაკალთა შტოები... წყნარი სოფლის ეკკლესია თავის ჩუმის სასაფლაოთი... მომაგონდა ნამდვილი ცხოვრება... შრომაგაჭირვება ხალხისა... მისი უმეცრება... უილაჯობა... აი სად უნდა ვიშრომო, აი სად უნდა შევიყვარო, აი, ვისთვისაც უნდა დავლიო სიცოცხლე და დავდვა თავი!.. რამ დამღუპა მე?—დამღუპა იმ უმგზავსმა, მუცელ-გაღიპულმა და საზიზღარმა არსებამ, რომელსაც ეტყვიან „მე“.. იგი ყველას თავისათვის თხოულობდა, იგი ყველაფრისაგან მსხვერპლს მთხოვდა.

„მართალია, მრავალი წელი ვემსახურე „მე“-ს, ამ საზიზღარ კერპს, მაგრამ ეტყობ! ყველა არ მიმსხვერპლებია მისთვის, ყველაფერი არ ჩაუნთქავს იმას ჩემი... ეტყობა არის კიდევ ჩემში უნარი თავგანწირულობისა, სიყვარულისა!.. უნდა ვიცოცხლო, რომ ეს უნარი ღირსეულს საქმეს შევალიო!.. უნდა განვიზიარო, ვიტვირთო ჩაგრულთ ბედი, მათივე შრომა...

„ჰო, ამ გადაწყვეტილებამ ჩააყენა ჩემ გულში ნათელი!.. ჰოო, არა დროს არ მიგვრძნია ასეთი სიამე! არა რომელისამე ცხოვრებაში გამარჯვების დროს! არც ქალთა შეყვარების გამო“!!!

—აკი, ჩემო ძმაოვ! დაიჯენ ხოლმე, რომ ქართველ ინტელიგენციას არ აწუხებს ის ვარამი, რომელიც რუსეთში ჰბადავს „ბოსიაკობას“ და იმ უკმაყოფილოთა გუნდს, რომელნიც იდეალის ძებნაში არ ისვენებენო“... ეგეც ქართველი, ქართულ ვარმის შეგნებისაგამო მკვდარი!.. —მითხრა სანდრომ, რომელიც, მე რომ წერილის კითხვაში გავერთე, მაშინ შემოსულიყო, ამომდგომოდა მხარში და ჩემთან ერთად წაეკითხა წერილი...

—მკვდარი?!—რის მკვდარი?! მისძინებია! იქნებ ჩვენის სამხრეთის ბუნების ბრალი იყოს ესეც.. მაგრამ, მაინც ის ნამუსის ტკივილნი, რომელნიც ლუკმა პურის შოვნის გამო მცირე ხანს იყუჩებენ ხოლმე რუსეთის ინტელიგენციაში... შევლენ სამსახურში, მაგრამ ძალუმი მოწოდება ნაყოფიერ შრომისათვის, თავის მკვლელობამდის, ან არაყის სმამდის მიიყვანს ხოლმე—ჩვენში არაა, მითქვამს წინადაც და ვამბობ ახლაც.

ბევრია ჩვენშიაც ჩივილი ბედისა, უსამართლობისა, მაგრამ, თუ მიეკონწიალა ასეთი მომჩივარი რომელსამე „საზოგადო“ საქმეს, იგი თავის თვალშიც და სხვებისაშიც ხდება „საქმის კაცი„, პატიოსანი და სხვა... ვროტავდი მე და სოსოსთან ერთად აღელვებულ-დაფიქრებული მივდიოდი სახლში...

ზ. გულისაშვილი.

| | |
|---|---|
| °/₀1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ. . . . . . | 445 გაყ. |
| 5°/₀ მეორე შინგ.-სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. . . . | $342^1/_2$ წვ. მყიდ. |
| 5°/₀ გირავნ. მომგ. ფურც. საზელმ. სათავ.-მამ. ბანკისა. . | 291 გაყ. |
| 5°/₀ ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ. . . . . . | $94^3/_4$ |
| $4^1/_2$°/₀ ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა. . . . . . | — |
| 5°/₀ ტფილ. სათავ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. . . . | $92^1/_2$ გაყ. |
| $4^1/_2$°/₀ გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა. . . . . . | — |
| 6°/₀ ქუთ. სათავ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ. . . . . . | — |
| 5°/₀ გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა | — |
| პაიები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ. | — |
| აქციები „ „ „ „ „კასპიის ამხანაგობისა. . | 3850 წვ. გაყ. |
| „ ბაქოს ნავთის საზოგად. | 399 წვ გაყ. |
| „ ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად. | $195^1/_2$ წვ. გაყ. |

**გამოსადეგი ცნობა.**

**მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა**

18 აპრილიდგან.

(ნაჩვენებია ტფილისის საათით.)

**ა) ტფილისიდგან მიდის:**

**ბათუმს:**—1) სწრაფი მატარებელი № 1 დილის 10 ს. 37 წ. 2) საფოსტო № 3 საღამოს 6 ს. 18 წ. 3) სამგზავრო № 5 დილის 7 ს. 49 წ.

**ბაქოს:** 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე) ნაშუადღევის 4 ს. 24 2) წ. საფოსტო № 4 დილის 11 ს. 49 წ.; 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 32 წ.

**ყარსს და ერევანს:** 1) საფოსტო № 74/₁₁ ღამის 12 ს. 30 წ.; 2) სამგზავრო № 90/₉₁ შუადღის 12 ს. 38 წ.

**ბორჯომს:** 1) სამგზავრო № 7/₈ ნაშუადღევის 2 ს. 58 წ.; 2) სამგზავრო № 9/₁₀ დილის 9ს. 21 წ.

**ბ) ბათუმიდგან გამოდის:**

**ბაქო-ტფილისისაკენ:** 1) სწრაფი № 2 ღამის 11 ს. 22 წ.; ჩამოდის ტფილისს დილით 9 ს. 42 წ. 2) საფოსტო № 4 საღამოს 10 ს. 21 წ. ჩამოდის ტფილისს დილით 11 ს. 8 წ. 3) სამგზავრო № 6 დილის 10 ს. 37 წ. ჩამოდის ტფილისს საღამოს 11 ს. 1 წ.

**გ) ბაქოდგან გამოდის:**

**ტფილის-ბათუმისაკენ:** 1) სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე, პარასკეობით, მოსკოვიდან მომავალი) დილის 4 ს. 40 წ. ტფილისს მოდის ნაშუადღევის 5 ს. 51 წ. 2) საფოსტო № 3 საღამოს 10 ს. 16 წ.; ტფილისს მოდის ნაშუადღევს 5 ს. 23. წ. 3) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს. 1 წ. ტფილისს მოდის დილის 5 ს. 5 წ.

**დ) ქუთაისიდგან გამოდის:**

**ბაქო-ტფილისისაკენ:** ღამის 1 ს. 58 წ.; და დილ 2 ს. 23 წ.

**ბათუმისაკენ:** ღამის 1 ს. 58 წ.; დილის 2 ს. 23 წ.; დილ 4 ს. 48 წ.

**შორაპნისაკენ:** დილის 3 ს. 8 წ.

**ტფილისის საზოგადო წიგნთსაცავი**

(მთავარმართებლის სასახლის პირდაპირ)

1 აპრილიდგან 1 ოქტომბრამდე იღება 2 საათზე და იკეტება 6 საათზე შუადღის შემდეგ.

1 ოქტომბრიდგან 1 აპრილამდე იღება 12 საათზე და იკეტება 5 საათზე შუადღის შემდეგ. წიგნთსაცავში მრავალ რუსულ, ქართულ სომხურსა და ევროპიულ წიგნებს გარდა, ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთობაც არის. მკითხველთათვის დიდი დარბაზია მოწყობილი. შესვლა უფასოა.

კვირა-უქმე დღეს წიგნთ-საცავი დაკეტილია; ზაფხულობითაც 15 აგვისტომდე დაკეტილია.

**კავკასიის მუზეუმი**

(მთავარმართებლის სასახლის პირდაპირ)

დათვალიერება შეიძლება სამშაბათს, პარასკევსა და კვირა დღეს, დილის 10 საათიდგან 3 საათამდე. შესვლა ერთი აბაზია.

**საეკლესიო მუზეუმი**

(სიონის ტაძრის გზაში)

დათვალიერება შეიძლება კვირაუქმე დღეს დილის 10 საათიდგან 1 საათამდე. ვისაც სხვა დროსა სურს დათვალიერება, შეუძლიან მიმართოს მუზეუმის გამგეს—გ-6 მოსე ჯანაშვილს.

შესვლის ფასი ერთი აბაზია.

**ნიხრი ეტლებით მიმოსვლისა**

ქ. ტფილისში.

| | |
|---|---|
| საათობით . . . . . | 60 კ. |
| ერთგზობით . . . . . | 30 „ |
| ქალაქიდან ავლაბარში . . . . . | 40 „ |
| ნათლუღში . . . . . | 50 „ |
| ავლაბრიდგან ნათლუღს . . . . | 30 „ |
| ნათლუღიდამ ქალაქს . . . . | 40 „ |
| ქალაქიდგან და ავლაბრიდგან რკინის გზის სადგურამდე . . | 50 „ |
| იქვე ნახევარ საათის გაჩერება და უკან დაბრუნება . . . . | 80 „ |
| ქალაქიდგან და ავლაბრიდგან მუშთაიდის ბაღში და დიდუბეს. | 40 „ |
| იქვე ნახევარ საათის გაჩერება და უკან დაბრუნება . . . . . . . . | 1 მ. |
| ქალაქიდან ორთაჭალას, საშურობილემდე | 40 კ. |
| კრწანისის ბაღამდე . . . . | 80 „ |
| ნათლუღიდამ რკინის გზის სადგურსა და მუშთაიდის ბაღამდე. | 80 „ |
| რკინის გზის სადგურიდგან ქალაქსა და ავლაბარს . . . . . . | 60 „ |
| იქიდამ ნათლუღამდე. . . . | 1—20 „ |

უკეთუ რკინის გზის მატარებელმა დაიგვიანა, ყოველ ნახევარ საათში 30 კაპ. ემატება.

| | |
|---|---|
| მართლმადიდებელთა სასაფლაომდე | 50 „ |

ეს ნიხრი სავალდებულოა ღამის 1 საათამდე; შემდეგ-კა 1 ოკდომბრიდგან 1 აპრილამდე ერთგზობით უნდა მიეცეს 50 კ. ხოლო 1 აპრილიდგან 1 ოკდომბრამდე 30 კ.

**ნიხრი ხორცისა.**

საქონლის ხორცი:

| | |
|---|---|
| 1 ხარისხისა გირვანქა . . . | 12 კ. |
| 2 „ . . . . . . . | 9 |
| 3 „ . . . . . . . | 7 |
| სუკი . . . . . . . . | 15 |
| ცხვრის ხორცი . . . . . | 10 |
| კამეჩისა . . . . . . | 7 |
| ღორისა | |
| 1 ხარისხის (საკატლეტე) . . | 11 |
| 2 „ (ბარძაყი) . . . | 10 |
| 3 „ (დანარჩენი ნაწილი, გატყავებული) . . . . | 8 |

**ნიხრი პურისა:**

ფურნეში გამომცხვარი

| | |
|---|---|
| 1 ხარისხისა . . . . . . | 5 კ. |
| 2 „ . . . . . . | $3^1/_2$ |
| 3 „ . . . . . . | 3 „ |

თორნეში გამომცხვარი:

| | |
|---|---|
| 1 ხარისხის . . . . . . . | 5 კ. |
| 2 „ . . . . . . . | 4 „ |
| 5 „ . . . . . . . | $3^1/_2$ „ |

**სამხედრო მუზეუმი**

(გოლოვინის პროსპექტზე)

მუზეუმი ღიაა დილის 11 საათიდგან 2 საათამდე. შემსვლელს ფულს არ ახდევინებენ.

**საბოტანიკო ბაღი**

(ძველი „ბატონიშვილის ბაღი“)

ორი მისავალი აქვს—ერთი სოლოლაკის ძხრივ და მეორე დაბახანიდგან.

დაითვალიერება განსაკუთრებულ გაყოფილებისა, სადაც იშვიათი მცენარეულობაა გაშენებული, მხოლოდ იმას შეუძლიან, ვისც ნებართვის ბარათს აიღებს ამ ბაღის გამგესაგან, ანუ სამეურნეო საზოგადოების გამგეობისაგან. შემსვლელს ფულს არ ახდევინებენ. ყვავილების მეტანა არ შეიძლება.

**სააბრეშუმო სადგური**

მიხეილის პროსპექტის ბოლოს, მუშთაიდის ბაღში).

დათვალიერება შეიძლება სააბრეშუმო სადგურის გამგეს ნებართვით, რომელიც იქვე სცხოვრობს. სააბრეშუმო სადგურთან საფუთკრეც არის.

**მიმოსვლა ეტლებისა კავკავის გზით.**

**კარეტა** ვადიანი გადის ტფილისიდგან კავკავს 7-სა და 8 საათზედ დილით, ღამე ჩერდება მლეთში და კავკავს მიდის საღამოს 7 საათზე.

გარდასახადი:

| | |
|---|---|
| 1 კლასით . . . . . . . | 15 მან. |
| 2 „ . . . . . . . | 10 „ |
| 3 „ . . . . . . . | 5 „ |

**ლინეიკა** გადის ტფილისიდგან ნაშუადღევის 3 საათზე, ღამე არსადა ჩერდება.

გარდასახადი:

| | |
|---|---|
| 1 ადგილისა . . . . . | 6 მ. 80 კ. |
| 2 „ . . . . . . . | 4 „ 80 „ |

**ეტლების სიარული ტფილისსა და თელავს შორის.**

მამულოვის დილიჟანსი გადის ტფილისიდგან ყოველ დღე დილის 6 საათზედ. თელავიდგან ტფილისს ჩამოდის საღამოს 7 საათზე. ფასი დახურულ ეტლში 4 მან., კოზლაზედ—3 მან. (კანტორა იმყოფება ავლაბარში, კახეთის მოედანზე).

**ეტლების სიარული ტფილისსა და სიღნაღს შორის.**

აბოევის დილიჟანსი გადის ტფილისიდგან ყოველ დღე დილის 6 საათზე. სიღნაღიდგან ტფილისში ჩამოდის საღამოს 7 საათზე. ფასი კაცზე ვადიან დილიჟანსში—4 მან., უვადოში—3 მან.

# განცხადება

ქუთაისში

**ს. მ. ბ. თოფურიასი**

## სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის** მფარველობის ქვეშ, 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. მგადამდების სენითა და სულით ავადყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

## ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ გამგეობის დარბაზში, 19 აგვისტოს, **საჯარო ვაჭრობა** იქმნება. გაიცემა იჯარით ქალაქის თავისუფალი მიწა, ნაჭრებად დაყოფილი სამოსახლ-კაროდ ახალ ნაძალადევში, მსურველთ ვაჭრობამდე უნდა წარადგინონ პოლიციის მოწმობა, რომ იჯარის მსურველი მოხარჯეთა წოდებას ეკუთვნის და ტფილისზეა მიწერილი. ვინც სხვა წოდებისაა, იმათ უნდა წარადგინონ მოწმობა: რუსეთის ქვეშევრდომთ იმის შესახებ, რომ 5 წელიწადზედ მეტსა სცხოვრობენ ტფილისში სხვა სახელმწიფოს ქვეშევრდომთ—რომ 10 წელიწადზედ მეტს სცხოვრობენ. საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების ნება არა აქვთ, ვისაც ქალაქში უძრავი ქონება მოეპოვებათ; იმათაც არა აქვთ აგრეთვე საიჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების უფლება, ვის ცოლსა ანუ შვილებს ასეთი ქონება მოეპოვება. დასასრულ, მიწა იჯარით არ მიეცემა იმას, ვისაც იჯარით აღებული აქვს სხვა მიწა,

(2—6.—1)

**ლაბარატორია**

## რის გუტმანისა

ისის იმპერატორებითის. უდიდებულესობის კარის ვაჭარი.




## ინდოური მიმუნაი

(ქიმიკოსის რის გუტმანისა)

ნამდვილი გაწყვეტა ვირთაგვებისა, თაგვებისა, თხუნელებისა და სხვათ მათ გვართა. ეს საშუალება განდევნის სახლებიდგან და სადგურებიდგან, განსაკუთრებით ზემოხსენებულ პირუტყვებს იმრიგად, რომ იატაკის ქვეშ არა რჩებიან და ცუდს სუნს არ ავრცელებენ იქიდგან. ფასი 60 კ.—1 მ. 50 კ.

**ინდოური ფხვნილი მწერთა მოსაგერებლად** ყველაზედ ნამდვილი საშუალება საბოლოვო გასაწყვეტად ყოველგვარ მწერთა და მათის თესლისა. ეს ფხვნილი შეუდარებელია რწყილის და ბაღლინჯოა გასაწყვეტად კრაოტებში, ლეიბებში, გალესილკედლებში და აგრეთვე ფიცრის კედლებში. რომელსაც გაკრული აქვს ნაბდები და ნაძენძი. ჩრჩილსა სწყვეტავს ნავთალინისავით და ამასთან მასავით მძიმე სუნი არა აქვს. ამიტომ საჭირო არ არის ქურქისა და სხვა ტყავიან სამელების შესანახავად მიცემა ზაფხულში. ეს ფხვნილი თავის მოქმედებას ყოველ გვარი ჭია-ღუის წინაამდეგ თითქმის წუთის განმავლობაში იჩენს. ფასი 35 კ., 65 კ. და 1 მ. 20 კ.

**სითხე ბაღლინჯოს წინაამდეგ** (ქიმიკოსის რის გუტმანისა). სამუდამოთა სწყვეტავს. სასიამოვნო სუნისა არის და ამასთან არ ალაქავებს საცვლებს, შპალერს და მებელს. შეფრქვეული ოთახის ჰაერს სასიამოვნოდ აგრილებს და ამასთან ერთად განდევნის ჩრჩილს, ბუზებს და კოღოს. ფ. 60 კ.—1 მ.

**ტოკაის ბალზამი** (ქიმიკოსის გუტმანისა) გან. კურნაკს ბებერას, მეჭეჭს და სხვა ამ.გვარს, მოკლე დროს განმავლობაში. ძირიან-ფესვიანად სპობს და ამასთან არავითარ ტკივილს არ აგრძნობინებს ადამიანს. ფასი თითო კოლოფისა 60 კ.

უმთავრესი საწყობი ტფილისში, სააფთიაქ. საქონ. ვაჭრ. ამხ.-ში და ყოველს სააფთიაქო მაღაზიაში. (40—6.—32)

„GRAND PRIX“

PARIS 1900.

Т-во Высшей парфюмеріи

**А. Ралле и К°**

„Бутонъ д'Оръ“

## ახალი წიგნები

გამოვიდა და იყიდება ყველა ქართ. წიგნის მაღაზიებში.

სოსიკო მერკვილაძის მიერ გამოცემული ახალი წიგნები:

| | |
|---|---|
| **სიმღერა** აკაკისა. ფასი . . . . . . | 15 „ |
| **თამარ მეფის სურათი** აკაკის ლექსით. | 6 „ |
| **პატარა ჩონგური** ლექსი (დედა-ენა). . | 5 „ |
| **თამარ მეფე** მოთხრობა აკაკისა . . | 5 „ |
| **ვაჭრული ჭკუა,** ლექსი აკაკისა. . . | 5 „ |
| **დათუნა გოცირიძე, როსტომ ერისთავი** { ძველებური ამბავი აკაკისა . . . . | 5 „ |
| **აბრამის და იოგის** ლექსი . . . . . | 3 „ |
| **ოქრუა** (ხალხური ზღაპარი) . . . . | 5 „ |
| **ერთი ძოსატყუილა, ბიჭია მენახირე, მეფე და სკვინჩა** { ხალხური ზღაპარი. | 10 „ |

ვინც მოისურვებს ამ წიგნების სყიდვას ან დაბარებას, მიმართოს ტფილისში, ქვაშვეთის ქუჩაზე (ალექსენდრეს ბაღის პირდაპირ) არჯევანიძის სახ, **ანნა მერკვილაძის ქალთა ტანისამოსის სამკერვალო მაღაზიაში.**

ვინც თვითოეულ გამოცემას იყიდის არა ნაკლებ ერთი მანეთისა, **ყოველ მანეთზე დაეთმობა თითო აბაზი.**

ადრესი ფოსტისა: Тифлисъ, Георгіевская Кашветская) ул., д. Аржеванидзе. № 21 (омдная мастерская Анны Мерквиладзе.

ერიდეთ! არ მოსტყუვდეთ!

**ჰიგიენური**

**ბორნო-ციმოლის საპონი**

პროვიზორის

**გ. ფ. იურგენსისა.**

აქრობს ჭორფლს, ნასიცხ—ყვითელ ლაქებს და სპობს ოფლს. ვურჩევთ ყველას, როგორც კეთილ-სუნნელოვანი და მაღალის ხარისხისა, ეს საპონი იხმარონ.

ოქროს მედალი, ლონდონი 1893 წ.

**ფასი თითო ნაჭერისა** 50 კ. $^1/_2$ ნაჭერი 30 კაპ.

იყიდება რუსეთის ყველა საუკეთესო საზაფთიაქო მაღაზიებსა და აფთიაქებში.

უმთავრესი საწყობი გ. ფ. იურგენსთან, **მოსკოვში.** (40—6.—18)

## ახალი წიგნი

Какъ улучшить Кавказскую народную школу (როგორ უნდა აღდგეს კავკასიონის სახალხო სკოლა), იაკობ გოგებაშვილისა. ისყიდება ტფილისში წერა-კიახვის საზოგადოების მაღაზიაში, ქუთაისის მაღაზიებში და სხვაგანაც. ფასი ექვსი შაური (30 კაპ.) (6—უ—6)

საათფიაქო საქონლით მოვაჭრე

# ფარმაცევტთა ამხანაგობა

ტფილისში

(კავკასიის მუზეუმის პირდაპირ „სევერნი ნომრების“ ქვეშ.

**ტელეფონი № 741.**

აწარმოებს ვაჭრობას ნარდად და წვრილმანად, დილის 8 ს. საღამოს 9 საათამდე. საწყობში ყოველთვის მოიპოვება საუკეთესო თვისების საათფიაქო და ქიმიური საქონელი, მეწამლები (პატენტ-მიღებული), სადოსტაქრო იარაღი და შესახვევად სახმარებლი ნივთეულობა, სადეზინფექციო (ჰაერის გასაწმენდი და ქირის მოსასპობი) წამლები, აფთიაქის დალაბარატორიისათვის მოწყობილობა, ეთერიანი ზეთები, ბუნებრივი ლითონიანი სხვა-და-სხვაწყალი და მარილი, მრავალ გვარი და მრავალ ფერიანი საპირფარეშო სამკაული, თმის დათვალ-წარბის საღებავი, საზღვარ-გარეთის და რუსეთის საუკეთესო ფირმების კეთილ-სურნელოვანი საქონელი—პარფიუმერია-კოსმეტიკა (დუხი, ოდეკოლონი, ხელის საპნები და სხვ.), ოჯახში სახმარებელი ნივთები—სარეცხისთვის, სამზარეულოსთვის და სხვ, და სხვ.

ადრესი ფოსტისა და დეპეშისა: Тифлисъ Товарищество Фармацевтовъ. (100—40)

# საკომერციო კურსები

**ქალებისა და ვაჟებისათვის**

(Тифлисъ, Сололаки, Лермонтовская ул., № 9)

(წელი მეცხრამეტე)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, **როგორც ქალებს, ისე ვაჟებს,** და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ან-გარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1903—1904 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქნება სასწავლებელი: 1) **საკომერციო ეკონომია,** 2) **საკომერციო არითმეტიკა,** 3) **ბუხჰალტერია** (მარტივი, ორკეცი და საბანკო), 4) **არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით.** 5 **საკომერციო მიწერ-მოწერა,** 6) **სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი,** 7) მსწრაფლ-წერა **და წერა-გაკრული და შნოიანი** (исправленіе дурного почерка)

სწავლა დაიწყება 16 სექტემბრიდგან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდგან, ყოველ დღე, დილის 10 საათიდგან თორმეტამდე და საღამოს 4 საათიდგან 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდოხოვისა, № 9, სერგიევისა და ლერმონტოვის ქუჩების კუთხეში.

პროგრამმები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და გაეგზავნოს.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს **ს. პ. მანუელიანცს,** ტფილისს.

**უფასოთ ვასწავლით მსურველთ საწერ მაშინაზე მუშაობას, კურსებზე სწავლა ყოველ დღე.** (25—160—23)

მოსკოვი 1882 წ.

# საწყობი ქაღალდის

# დიტიატკოვსკის ამხანაგობის

ნიჟეგოროდი 1896 წ.

საწერ-ქაღალდის ქარხნებისა ტფილისში

ქაღალდი საფოსტო, საწერი, წიგნის საბეჭდი, გაზეთის საბეჭდი და საზოგადოდ ყოველგვარი საბეჭდი ქაღალდი ყველა ნომრისა, ალბომის ქაღალდი აგრეთვე ყველა ფერისა, თუთუნის სახვევი, ჩაის სახვევი, მუნდშტუკისა, საზოგადოდ საქონლის სახვევი და სამანუფაქტურო, შაქრის სახვევი და კარდონისა.

მაღაზია საკანცელარიო, სამწერლობო, სახაზავ და სამოწაფეო იარაღკუთვნილებათა. საქონელი **ფაბრიკის ფასად.**

ადრესი წერილებისა: ერევნის მოედანი, სახლი ტფილისის საკომერციო ბანკისა.

ტელეგრამმებისათვის: Тифлисъ. Дитятковское Товарищество.

ტელეფონი № 66. (30—6.—20)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 31 іюля 1903 г. Типографія „Гутенбергъ“ (кн. Гр. Н. Діасамидзе). д Груз. Дворянства. დროებით-რედაქტორი გ. ყიფშიძე, გამომცემელი ა. სარაჯიშვილი.